სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

24 მარ 2026

გადაწყვეტილება # 882026226302-04 (24.03.2026)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

განცხადების ნომერი: **882026226302** განცხადების მიღების თარიღი: **18.03.2026 18:28**

დაინტერესებული პირი: **შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება (404389693)**

წარმომადგენელი: **მარიამი ხარაიძე (28001116955)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი , აეროპორტი , ნაკვ. 15/035, 01.19.25.015.043**

მომსახურების სახე: **იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. .“ბ“, „გ“ და „ი“ მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:

წარმოსადგენია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა დაინტერესებაში არსებული უძრავი ნივთის იჯარით გაცემის შესახებ (შესაბამისი თანხმობის არსებობის შემთხვევაში - ხელშეკრულებაში მითითებული 2025 წლის 29 დეკემბრის N 15/69688 წერილი);

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე.

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ N B25172594 განცხადებაზე წარმოდგენილი წესდების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის "D" ქვეპუნქტის მიხედვით, მხოლოდ პარტნიორის თანხმობით შეიძლება განხორციელდეს იჯარით გაცემა.

3. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან განცხადებას თანდართული დოკუმენტი/ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და

წესით, დაინტერესებული პირის განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა უძრავი ნივთის იდენტიფიკაციის საშუალებას ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.”

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, №22; ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია სსიპ იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1), მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ::: მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N22 ::: www.napr.gov.ge